განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარება“, მაგისტრატურა

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი:
26.10.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი:
02.12.2020

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 245428158 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარება |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | განათლების მეცნიერებების მაგისტრი (0111) |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0111 განათლების მეცნიერება<br><br>Education Science |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება<br>(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | ახალი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გოდერძი ბუჩაშვილი, შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ეკატერინე გიგაშვილი, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, საქრთველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო ჩიკვაშვილი, შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა "პროგრესი", საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | სოფიკო შარაბიძე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარება" მომზადდა საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, კერძოდ, იგი შემუშავდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ), მაგდებურგის ოტო ფონ გერიკეს უნივერსიტეტსა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე.
საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს:

ა) თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი პიროვნება;

ბ) მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელიც პროფესიული განათლების აქტუალური პრობლემების, კონტექსტისა და დარგის მრავალასპექტიანობის გაცნობიერების, შეფასებისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე პროფესიული განათლების სტუდენტს მისცემს მაღალი ხარისხის კომპეტენციების გამომუშავების/განვითარების შესაძლებლობას; შეძლებს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ადამიანური რესურსების დინამიური განვითარების საფუძველზე სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს მართვას და ადაპტირებას;

გ) დარგის ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილი, მრავალმხრივი პერსპექტივის მქონე სპეციალისტი, რომელიც შეძლებს პროფესიული განათლების სფეროში სწავლებისა და შეფასების მიმართ ახალი მიდგომების

კვლევას და ამ კვლევის შედეგების საფუძველზე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში/სექტორში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას.

პროგრამის მიზნები ეფუძნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასა და მიზნებს, სტრატეგიული განვითარების გეგმას, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დებულებას, პროფესიული განათლების სფეროს სპეციფიკას, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დამსაქმებლის მოსაზრებებს/რეკომენდაციებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ,,პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარება" 120 კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით შეფასება განხორციელდა მიმდინარე წლის 26 ოქტომბერს, დისტანციურად, კოუმუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ვიზიტი წარიმართა მშვიდ აკადემიურ გარემოში, განხორციელდა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი ყველა შეხვედრა, კერძოდ ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, (რექტორი, ვიცე-რექტორი, დეკანი, ხარისხის სამსახურის უფროსი), ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს. გადამოწმდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, ელექტრონულ ბაზებთან ხელმისაწვდომობა. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას გააცნო პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით და არსებულის წესის გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები შესაბამისობაშია სტანდარტებთან.

პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას კრიტიკული შეუსაბამობა პროგრამასა და აკრედიტაციის სტანდარტებს შორის არ ფიქსირდება.

- **რეკომენდაციები**

  - რეკმონდებულია პროგრამაში ჩართულ პირებთან ერთად გადაიხედოს პროგრამის მიზნები და მოხდეს მათი დახვეწა.
  - გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები, საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული სწავლის შედეგები უნდა იყოს სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული კვალიფიკაციასთან უფრო მეტ შესაბამისობაში.
  - პროგრამაზე მიღების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე;
  - პროგრამის მიზნებსა, შინაარსსა და სწავლის შედეგებს შორის კორელაციის მიზნით, მოხდეს იდენტიფიცირება, ვინ იქნება კურსდამთავრებული, რა ცოდნა და კომპეტენცია უნდა გამოუმუშაოს პროგრამამ;
  - სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალში არსებული ინგლისურენოვანი ლიტერატურის ეფექტურად გამოყენების მიზნით დაშვების წინაპირობად უნდა იყოს მითითებული B2.
  - პროგრამით განსაზღვრული მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მოსაყვანი პროგრამის ფარგლებში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;
  - სასწავლო კურსების მიზნების და პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ერთიანობით უნდა იქნას მიღწეული კვალიფიკაცია; პროგრამის მიზნები უნდა დაიხვეწოს და ამოღებული იქნას ისეთი სწავლის შედეგები, რომლებიც არ

უკავშირდერბა სწავლება-სწავლის და სხვებისთვის ცოდნის გადაცემის თეორიასა და ტექნიკებს;

- სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები „ფინანსები პროფესიულ განათლებაში“ და „ორგანიზაციული ქცევა და ადამიანური რესურსების განვითარება“ თავისი შინაარსითა და მიზნებით ვერ პასუხობს მისანიჭებელ კვალიფიკაციას და პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, ამიტომ უნდა იყოს ამოღებული სპეციალობის სავალდებულო კურსების ჩამონათვალიდან;
- მნიშვნელოვანია პროგრამის განხორციელება მხარდაჭერილი იყოს მრავალფეროვანი ლიტერატურით, თუმცა როგორც სავალდებულო ლიტერატურა სასწავლო კურსში „ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა პროფესიულ განათლებაში“ მითითებულია მხოლოდ ერთი სახელმძღვანელო-- „ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის“(განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი 2018 წ. )სასწავლო კურსის შინაარსიდან და შესასწავლი თემებიდან გამომდინარე, სტრატეგიული დაგეგმვის, ხარისხის სისტემების, გარე და შიდა ხარისხის მექანიზმების შესახებ არსებული სასწავლო ლიტერატურის, ან/და ჰენდაუტის დამატება მნიშვნელოვანია სასწავლო კურსის განხორციელებისთვის.
- საჭიროდ მიგვაჩნია, რომ გამოკითხვის ჩატარებისას გაიმიჯნოს კონკრეტული სპეციალობის კურსდამთავრებულთა დამსაქმებლები, მკაფიოდ ჩამოყალიბდეს გამოკითხვის მიზანი, რომლის შესაბამისადაც შედგება კითხვარი.

- *რჩევები პროგრამის განვითარებისთვის*

  - სასურველია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ჩართულობის მიზნით ეფექტური და ეფექტიანი მექანიზმების დანერგვა.

  - სასურველია უნივერსიტეტმა შეიმუშაოს ერთი კატალოგი რათა სტუდენტებს გაუმარტივდეთ სახელმძღვანელოების მოძიების პროცესი.

  - სასურველია, რომ შესაბამისი პირებისა და მხარეების ჩართულობით, ლოგიკური ინტენსივობით, განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამის SWOT ანალიზი.

  - სასურველია ჩატარდეს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა საუნივერსიტეტო ცხოვრებასთან დაკავშირებულ, არასალექციო, საკითხებთან დაკავშირებით. მაგალითად: ადმინისტრაციის მუშაობა, სტუდენტური ცხოვრება და ა.შ.

  - უმჯობესი იქნება, რომ საგანმანათლებლო პროგრამა, დარგის უცხოელ ექსპერტთან ერთად, შეაფასოს ქართველმა სპეციალისტმაც.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - ბსუ-ში 2017 წლიდან მოქმედებს სტუდენტთა გამოკითხვებისა და აკადემიური მოსწრების დამუშავების ელექტრონული სისტემა - სტუდენტური პორტალი. რომელიც აკავშირებს სტუედნტებს პოტენციურ დამსაქმებლებთან.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარება“ მეტწილად შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით კვალიფიკაციის სირთულის მე-7 დონეს, ხოლო სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით 0111 კვალიფიკაციის კოდს (განათლების მეცნიერებები). კურსდამთავრებულს ენიჭება განათლების მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხი.<br><br>პროგრამის მიზნები გამომდინარეობს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიიდან, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.<br><br>პროგრამის მიზნებია:<br><br>ა) თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი პიროვნება;<br>ბ) მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელიც პროფესიული განათლების აქტუალური პრობლემების, კონტექსტისა და დარგის მრავალასპექტიანობის გაცნობიერების, შეფასებისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე პროფესიული განათლების სტუდენტს მისცემს მაღალი ხარისხის კომპეტენციების გამომუშავების/განვითარების შესაძლებლობას; შეძლებს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ადამიანური რესურსების დინამიური განვითარების საფუძველზე სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს მართვას და ადაპტირებას;<br>გ) დარგის ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით |

აღჭურვილი, მრავალმხრივი პერსპექტივის მქონე სპეციალისტი, რომელიც შეძლებს პროფესიული განათლების სფეროში სწავლებისა და შეფასების მიმართ ახალი მიდგომების კვლევას და ამ კვლევის შედეგების საფუძველზე პროფესიულ დაწესებულებაში/სექტორში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას.

პროგრამის მიზნებიდან იკვეთება ცალკეული გადაფარვა ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სფეროებთან, ამასთან პროგრამაში ჩართულ პირებთან ინტერვიურების დროს გაოიხატა აზრთა სხვადასხვაობა, ერთი ნაწილი აღნიშნავდა, რომ პროგრამა მოამზადებდა პროფესიული განათლების პედაგოგებს, მეორე ნაწილი ემხრობოდა ადმინისტრაციულ-მენეჯმენტის სფეროს, ხოლო მესამე ნაწილი ორივეს ერთად. აქედან გამომდინარე საჭიროა პროგრამაში ჩართულ პირებთან ერთად გადაიხედოს პროგრამის მიზნები და მოხდეს მათი დახვეწა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ბსუ-ს მისია https://www.bsu.edu.ge/main/page/2-416/index.html;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დებულება;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, თვითშეფასების ჯგუფთან და უნივერისტეტის ადმინისტრაციასთან;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

**რეკომენდაციები:**

- რემონდებულია პროგრამაში ჩართულ პირებთან ერთად გადაიხედოს პროგრამის მიზნები და მოხდეს მათი დახვეწა.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| |
|---|
| |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები |
|---|
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარება“, შედეგები წარმოდგენილია ახალი სტანდარტით, რომელიც ითვალისწინებს სამ დონიან შედეგებს ცოდნა და გაცნობიერება, უნარი და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.<br><br>**სწავლების შედეგები შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:**<br><br>**„ცოდნა და გაცნობიერება**<br><br>1. აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა პროფესიული განათლების არსის, განვითარების თანამედროვე ტენდენციებისა და პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე ძირითადი პროცესების შესახებ;<br><br>2. იცის პროფესიული პედაგოგიკის მიზნები, ამოცანები, პედაგოგიურ მეცნიერებაში მისი ადგილი და მნიშვნელობა; პროფესიული განათლების დიდაქტიკის ძირითადი პრინციპები, სწავლების ხერხები, მეთოდები და ორგანიზების ფორმები; სტუდენტთა საჭიროებებისა და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით მულტიკულტურულ გარემოში |

ეფექტიანი სასწავლო გარემოს მოწყობის პრინციპები; უწყვეტი განათლების არსი და მნიშვნელობა;

3. იცის ადამიანური რესურსების განვითარების საფუძვლები, ძირითადი თეორიები და გააზრებული აქვს მათი მნიშვნელობა პროფესიული განათლების განვითარებისთვის;

4. ფლობს განათლების მეცნიერებაში კვლევის მეთოდებს, კვლევის დაგეგმვის, წარმართვისა და ანალიზის ძირითად მიდგომებს და აცნობიერებს კვლევის შედეგების გამოყენების აუცილებლობას საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში;

5. აცნობიერებს პროფესიული განათლების გავლენას სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ განვითარებაზე როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო ჭრილში; პროფესიული განათლების, როგორც დარგის, განვითარებისთვის აუცილებელ წინაპირობებსა და ხელშემწყობ ფაქტორებს.

**უნარი**

6. შეუძლია პროფესიული განათლების სფეროში სწავლა/სწავლების პროცესის დაგეგმვა, ორგანიზება და შეფასება; თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, ინოვაციური საგანმანათლებლო სივრცის შექმნა პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის მათი განსხვავებული კულტურული გამოცდილების გათვალისწინებით; პროფესიული განათლების ხელშემწყობი ჯანსაღი, უსაფრთხო და ინკლუზიური გარემოს შექმნა და შენარჩუნება; პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის დაგეგმვა და განხორციელება; კვლევის შედეგების პედაგოგიურ საქმიანობაში გამოყენება;

7. შეუძლია ეფექტიანი და ეთიკური ურთიერთობების დამყარება და განვითარება პროფესიულ სტუდენტებთან, თანამშრომლობა კოლეგებთან, დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან; პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ადამიანური რესურსების საჭიროებების დადგენა, კადრების შერჩევის და შესაძლებლობების გაუმჯობესების ეფექტური მექანიზმების შემუშავება, ადამიანური რესურსების დინამიური განვითარების სისტემის ჩამოყალიბება; პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;

8. შეუძლია სწავლებასა და შეფასებასთან დაკავშირებული სამართლებრივი, მარეგულირებელი და 4 ინსტიტუციური მოთხოვნების იდენტიფიცირება და ამ

მოთხოვნების სწორად და თანმიმდევრულად გამოყენება სწავლებისა და შეფასების დაგეგმვა-მომზადების პროცესში; არსებულ პროფესიულ და საგანმანათლებლო სტანდარტებზე დაყრდნობით და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესის დაგეგმვა და წარმართვა; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების შესაბამისად კომპანიაში სწავლებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურისა და სხვა წინაპირობების შეფასება, სწავლების დაგეგმვა და შეფასება; პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მართვა, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების განხორციელება, შეფასება და შემდგომ განვითარებაზე ზრუნვა;

9. შეუძლია უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება; აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, საკვლევი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაბამისი კვლევის მეთოდების შერჩევა, რელევანტური ინსტრუმენტების შექმნა/მოძიება/ადაპტირება, ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი, ინოვაციური სინთეზი, შეფასება და დასკვნების ჩამოყალიბება. საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენა, როგორც აკადემიური, ასევე პროფესიული საზოგადოებისთვის აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

10. შეუძლია კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან/და მულტიდისციპლინური სასწავლო/სამუშაო გარემოს მართვა და ადაპტირება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით; არის ღია ცვლილებებისადმი; ორიენტირებულია პრობლემების გადაჭრის გზების მოძიებაზე, პასუხისმგებლობას იღებს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე;

11. ხელს უწყობს პროფესიული განათლების დარგში პროფესიული პოტენციალის მდგრად განვითარებას; შეუძლია ობიექტური თვითშეფასება და საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა.“

საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები მომზადებულია საქართველოს განათლების მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის 10 აპრილის #69/ნ ბრძანებით „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“, რომელიც განკუთვნილია სწავლების მე-7 დონისთვის. პროგრამაში ასევე წარმოდგენილია სწავლის შედეგების რუკა. ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ

პროგრამის შედეგები შემუშავდა სამუშაო ჯგუფის მიერ, დაინტერსებული მხარეების (სტუდენტები, კურსდამთავრებული, დამსაქმებლები და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია) სრული ჩართულობით. ასევე გათვალისწინებული იქნა დარგში არსებული საჭიროებები, დამსაქმებლების მოთხოვნები. შესწავლილი იქნა საუკეთესო საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკაც.

პროგრამის შედეგების გაზომვა ხდება სწავლის შედეგებსა და სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგების შესაბამისობის დადგენით. პროგრამის შედეგების დაგეგმვას, შემუშავებას, ეფექტურ განხორციელებას მონიტორინგს და კოორდინირებას უწევს უნივერისტეტის და ფაკულტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. სწავლების შედეგების მიღწევის შეფასებისთვის ტექსტში გამოიყენება შემდეგი მექანიზმები:

ა) საგანმანთლებლო პროგრამაში სწავლების შედეგების რუკის მიხედვით - შეფასების სხვადასხვა მეთოდის ადეკვატურობის განსაზღვრა და რეკომენდაციების გაწევა;

ბ) ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრება, რომელიც იძლევა საშუალებას განისაზღვროს შეფასების მეთოდები და მისი რელევანტურობა;

გ) გამოცდების და მიმდინარე შეფასების ანალიზი, რომელიც იძლევა წარმოდგენას სწავლის შედეგების მიღწევის თაობაზე;

დ) სტუდენტთა გამოკითხვა;

ე) კურსდამთავრებულთა გამოკითხვა

ვ) დამსაქმებელთა გამოკითხვა

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის გამოიყენება, სხვადასხვა მეთოდები: მათ შორისაა გამოცდა, ტესტი, ესე, თვითშეფასება და სხვ.

უნივერსიტეტში არსებობს სასწავლო პროცესის მონტორინგის და შეფასების ყველა საჭირო მექანიზმი. მათ შორის turnitin-ის ანტიპლაგიატის პროგრამა.

პროგრამის სწავლის შედეგები შინაარსობლივად ფარავს განათლების ადმინისტრირების მმართველობით სფეროში არსებულ შესაბამის სწავლის შედეგებს რა მიზეზითაც ნაწილობრივ სცდება 0111 დეტალურ სფეროში არსებულ კვალიფიკაციის აღწერს, შესაბამისად, დაწესებულებამ უფრო მეტად უნდა გააძლიეროს არსებულ დეტალურ სფეროში სწავლება-სწავლის პროცესის და სხვებისთვის ცოდნის გადაცემის თეორებისა და ტექნიკის შესწავლა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;

- პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“;
- დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები https://bsu.edu.ge/sub-27/page/2-62/index.html
- ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს სხდომების ოქმები;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმები;
- ინტერვიუ

**რეკომენდაციები:**

გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები, საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული სწავლის შედეგები უნდა იყოს სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული კვალიფიკაციასთან უფრო მეტ შესაბამისობაში.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებ | | ■ | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** <br><br> თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის დისტანციურად შეფასების პროცესის და ბსუ-ს პერსონალთან შეხვედრების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია დაწესებულების მიერ და შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან; პროგრამაზე ჩარიცხვის მთავარი პირობაა ერთიანი სამაგისტრო გამოცდების შედეგები, ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესის დამტკიცების შესახებ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 7 ივლისის № 59 დადგენილების შესაბამისად შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა უცხო ენასა და |

სპეციალობაში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის. დაინტერესებულ პირთათვის პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული მემორანდუმი მაგდებურგის ოტო ფონ გერიკის უნივერსიტეტთან, რაც არის სტუდენტების გაცვლის რეალური პერსპექტივა, თუმცა უნივერსიტეტის წარმომადგენლების განმარტებით, აღნიშნული აქტივობების განხორციელებასთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით იქნება შემუშავებული გეგმა და საქმიანობები. აქედან გამომდინარე, საჭიროა პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში იქნას გათვალისწინებული უცხო ენაში კომპეტენციის გაზრდა B2- მდე B1-ი დონის ნაცვლად;

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- “ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესის დამტკიცების შესახებ’ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 7 ივლისის № 59 დადგენილება;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ბსუ-ს ვებგვერდი https://bsu.edu.ge/main/page/13742/index.html
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2016 წლის 21 ივლისის ბრძანება №01-08/37 ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №55 დადგენილება ,,კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანება ,,უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და ადმინისტრაციასთან;

**რეკომენდაციები:**

- პროგრამაზე მიღების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენის ცოდნა B2

დონეზე;

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციის განხილვის და ბსუ-ს წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

პროგრამა შედგენილია ბსუ-ში მოქმედი რეგულაციებისა და კანონმდებლობით აღიარებული პროცედურების შესაბამისად და ასევე ემყარება ბსუ-ს მიერ შემუშავებული და სამართლებრივი აქტით დამტკიცებული პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიას. დაწესებულების მიერ სააკრედიტაციოდ წარდგენილი

პროგრამა **„პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარება“** ითვალისწინებს საკანონმდებლო მოთხოვნებთან თავსებად, პროგრამაზე დაშვების ობიექტურ წინაპირობებს. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და “ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 7 ივლისის № 59 დადგენილების შესაბამისად. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, დიპლომირებულ სპეციალისტს, მაგისტრს, როემლმაც წარმატებით ჩააბარა საერთო სამაგისტრო გამოცდა და რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადებში დარეგისტრირდა ბსუ-ში მაგისტრანტობის კანდიდატად. საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე, მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ, სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი აბარებს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებს უცხო ენასა და სპეციალობაში. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა გულისხმობს უცხო ენის ფლობის (B1) დონის დასადგენ ტესტირებას, თუმცა შესაძლებელია (B1) დონის სერტიფიკატის წარდგენა ენის კომპეტენციის დასადასტურებლად; მეორე, შიდასაუნივერსიტეტო, სპეციალობის გამოცდა ტარდება წინასწარ დადგენილი საკითხების მიხედვით, ინფორმაცია საკითხებისა და შეფასების წესისა და პროცედურის შესახებ აპლიკანტებისთვის ხელმისაწვდომია და განთავსებულია ვებ-გვერდზე.

პროგრამის ფორმატი მოიცავს:

- საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებას,
- განათლების საფეხურს,
- კვალიფიკაცია/მისანიჭებელი აკადემიურ ხარისხს,
- პროგრამის მოცულობას,
- სწავლების ენას,
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობას,
- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანსა და აქტუალობას,
- დასაქმების შესაძლო სფერო/სფეროებს,
- სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის
- სწავლის შედეგებს,
- სწავლება/სწავლისა და შეფასების მეთოდებს,
- სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემას,

პროგრამას ახლავს სასწავლო გეგმა, პროგრამის მიზნების რუკა, პროგრამის სწავლის შედეგების რუკა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების შესაბამისად და ერთვის როგორც მატერიალური და ადამიანური რესურსის შესახებ ინფორმაცია ასევე მისაღებ სტუდენტთა შესაძლო კონტინგენტი;

სამაგისტრო პროგრამის, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და პროგრამის შემუშავებაში ჩართული პერსონალის განმარტებით, პროგრამის მიზანია მოამზადოს:

„ ა) თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი **პიროვნება**;

ბ) მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი **სპეციალისტი**, რომელიც პროფესიული განათლების აქტუალური პრობლემების, კონტექსტისა და დარგის მრავალასპექტიანობის გაცნობიერების, შეფასებისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე **პროფესიული განათლების სტუდენტს** მისცემს მაღალი ხარისხის კომპეტენციების გამომუშავების/განვითარების შესაძლებლობას; შეძლებს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში **ადამიანური რესურსების** დინამიური განვითარების საფუძველზე სასწავლო ან/და სამუშაო **გარემოს მართვას და ადაპტირებას;**

გ) დარგის ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილი, მრავალმხრივი პერსპექტივის მქონე **სპეციალისტი**, რომელიც შეძლებს პროფესიული განათლების სფეროში სწავლებისა და შეფასების მიმართ ახალი მიდგომების კვლევას და ამ კვლევის შედეგების საფუძველზე **პროფესიულ დაწესებულებაში/სექტორში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას** “

წარმოდგენილი პროგრამის ფორმატით განსაზღვრულია სპეციალობის სავალდებულო კომპონენტი, სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი და თავისუფალი კომპონენტი. პროგრამის ამ კომპონენტების განხორციელებისთვის განსაზღვრულია შესაბამისი სასწავლო კურსების ჩამონათვალი. პროგრამაში შემავალი ყველა სასწავლო კურსის მოცულობა არის 5 და 5-ის ჯერადი. სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი ინფორმაცია კრედიტებისა და საკონტაქტო, დამოუკიდებელი და შეფასებისთვის განკუთვნილი საათების შესახებ შესაბამისობაშია სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ მონაცემებთან;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი **„პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარება**“- სამაგისტრო პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი. მათ შორის:

- 70 კრედიტი-სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები (მათ შორის პრაქტიკა);
- 20 კრედიტი -თავისუფალი კომპონენტი;(10 კრედიტი - სპეციალობის არჩევითი და 10 კრედიტი - თავისუფალი არჩევითი),
- 30 კრედიტი - სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი **„პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარება**“ - სამაგისტრო პროგრამის მიხედვით მისანიჭებელი კვალიფიკაცია განეკუთვნება განათლების 01 სფეროს და ფორმირებულია 0111 კოდის შესაბამისად, პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება **განათლების** მეცნიერების მაგისტრის აკადემიურ ხარისხი. სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით

| |
|---|
| დეტალური სფერო შეისწავლის **სწავლება-სწავლის პროცესსა და სხვებისთვის ცოდნის გადაცემის თეორიებს, მეთოდებსა და ტექნიკას.** სასწავლო კურსებიდან გამომდინარე, პროგრამის 50%-ზე მეტი ემსახურება პროფესიულ განათლებაში სწავლება-სწავლის პროცესისა და სხვებისთვის ცოდნის გადაცემის თეორიების, მეთოდებისა და ტექნიკის შესწავლას<br><br>აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ პროგრამის ონლაინ შეფასების პროცესით გათვალისწინებულ სხვადასხვა პანელში მონაწილეობა მიიღო: ფაკულტეტის ადმინისტრაციამ, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფმა, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოქმედმა და ყოფილმა ხელმძღვანელებმა, პროგრამის ხელმძღვანელმა, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, უცხოელმა ექსპერტმა პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციიდან, სტუდენტებმა, კურსდამთვარებულებმა, დამსაქმებლებმა. პროგრამის მიზნებისა და კვალიფიკაციის ურთიერთმიმართების საკითხთან დაკავშირებით, მეტი სიცხადისთვის, ყველა პანელის მონაწილეებთან დაისვა კითხვა: ვის ამზადებს პროგრამა, ვინ არის პროგრამის კურსდამთავრებული? კითხვასთან დაკავშირებით კურიკულუმის ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ჩართულ პერსონალთან დამსაქმებლებთან. პროგრამის შემუშავებაში ჩართული ჯგუფების ნაწილის აზრით პროგრამა ხელს შეუწყობს პროფესიული განათლებისთვის მასწავლებლის მომზადებას, ნაწილი ფიქრობს, რომ პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს პროფესიულ სასწავლებელში სხვადასხვა მიმართულებით შუა რგოლის მენეჯრის პოზიციაზე მუშაობას, ხოლო ნაწილის აზრით, შესაძლებელია ამ პროგრამის კურსდამთავრებული, საჭიროების შემთხვევაში, დასაქმდეს როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლის, ასევე ნებისმიერი მიმართულების შუა რგოლის მენეჯერის პოზიციაზე. აღსანიშნავია, რომ არც პროგრამის მიზანში, არც სწავლის შედეგებში არ ჩანს მკაფიოდ ვინ იქნება პროგრამის კურსდამთავრებული. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br><br>1. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ";<br>2. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ";<br>3. პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი;<br>4. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 12 მარტის №06-01/21 დადგენილება ,,ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტზე ,,პროფესიული განათლებისა და ადამინური რესურსების განვითარების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ";<br>5. საგანმანათლებლო პროგრამა;<br>6. სასწავლო კურსების სილაბუსები;<br>7. ბსუ-ს ვებგვერდი https://bsu.edu.ge/sub-59/program/3/index.html;<br>8. ინტერვიუ, პანელური შეხვედრები ადმინისტრაციის, აკადემიურ და მოწვეულ სპეციალისტებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, |
| **რეკომენდაციები:** |

- პროგრამის მიზნებსა, შინაარსსა და სწავლის შედეგებს შორის კორელაციის მიზნით, მოახდიენთ იდენტიფიცირება ვინ იქნება კურსდამთავრებული, რა ცოდნა და კომპეტენცია უნდა გამოუმუშაოს პროგრამამ;
- პროგრამით განსაზღვრული მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მოსაყვანი პროგრამის ფარგლებში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით, **სპეციალობის სავალდებულო** კურსების ჩამონათვალი 120 კრედიტიდან შეადგენს 70 კრედიტს, მ.შ. პრაქტიკას და მოიცავს ისეთ სასწავლო კურსებს, როგორიცაა:

- მოდულური და დუალური პროფესიული განათლების თეორია და პრაქტიკა 1და 2;
- განათლების სისტემის სტრუქტურა;
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა პროფესიულ განათლებაში;
- სოციალური ფსიქოლოგია;
- პროფესიული პედაგოგიკა;
- ანდრაგოგიკა;
- ინკლუზიური პროფესიული განათლება;
- ფინანსები პროფესიულ განათლებაში;
- ორგანიზაციული ქცევა და ადამიანური რესურსების განვითარება 1 და 2.
- შესავალი განათლების კვლევაში;
- კვლევის მეთოდები განათლებაში;
- სასწავლო პრაქტიკა;
- სამაგისტრო ნაშრომი;

სავალდებულო სასწავლო კურსების უმრავლესობა (გარდა „ფინანსები პროფესიულ განათლებაში“ და „ორგანიზაციული ქცევა და ადამიანური რესურსების განვითარება“ ) თავისი სწავლის შედეგებითა და მიზნებით ემსახურება სწავლება-სწავლის პროცესსა და სხვებისთვის ცოდნის გადაცემის თეორებისა და ტექნიკის შესწავლას და რაოდენობრივად პროგრამის მოცულობის 50%-ს აღემატება. რაც შეეხება სასწავლო კურსებს „ფინანსები პროფესიულ განათლებაში“ (სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს მისცეს ცოდნა პროგრამული ბიუჯეტის ფორმირების სტრატეგიებისა და ფუნდამენტური კონცეფციების შესახებ; სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტმა უნდა შეძლოს პროფესიული განათლების ფინანსური ეკონომიკის აღქმა, პროფესიული განათლების დაფინანსების და მასში მიმდინარე პროცესების შეფასება, შემდგომი ანალიზი და ოპტიმალური სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება ) და „ორგანიზაციული ქცევა და ადამიანური რესურსების განვითარება“ (კურსი სტუდენტებს აძლევს მთავარ თეორიულ და პრაქტიკულ უნარ ჩვევებს ორგანიზაციული ქცევის და ადამიანური რესურსების განვითარების ისეთი ცნებების და ასპექტების შესახებ, როგორებიცაა: სხვადასხვა ორგანიზაციების სტრუქტურული ტიპები, ლიდერობა, მენეჯერული როლები და ტიპები, გადაწყვეტილების მიღების მოდელები, მოტივაცია და კადრების მართვა, ორგანიზაციული ცვლილების დანერგვა და მისი მენეჯმენტი, გუნდური მუშაობა ) სპეციალობის სავალდებულო კურსების ჩამონათვალში არ უნდა იყოს იმ მიზეზით, რომ სწავლის შედეგები და მიზნები ორიენტირებულია ადამიანური რესურსის მართვასა და განვითარებაზე, მენეჯერთა მომზადებაზე, რაც მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და პროგრამით გათვალისიწნებული სწავლის შედეგის მიღწევას ვერ უზრუნველყოფს როგორც სპეციალობის სავალდებულო კურსი.

პროგრამაში წარმოდგენილია თავისუფალი სასწავლო კურსების ჩამონათვალი, საიდანაც სტუდენტს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს 10 კრედიტი თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსებიდან და 10 კრედიტის ფარგლებში **სპეციალობის არჩევითი** სასწავლო კურსები ჩამონათვალიდან:

- მულტიკულტურული განათლების საფუძვლები;
- კომპანიის ინსტრუქტორის საქმიანობა -საკვალიფიკაციო მოთხოვნები და მუშაობის ძირითადი თავისებურებები;

- განათლების სფეროში საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები;
- შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა;
- განათლების ფილოსოფია;
- განათლების ფსიქოლოგია;
- ინფორმაციული წიგნიერების როლი კვლევასა და სწავლაში;
- სამეცნიერო ნაშრომის წერა;
- კვლევის სტატისტიკური მეთოდები;
- პრაქტიკის კვლევა;

წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში სტუდენტს შესასრულებელი აქვს კვლევითი კომპონენტი 30 კრედიტის ფარგლებში, რომლის შესრულება და შეფასება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციის შესაბამისად;

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შინაარსი და სასწავლო თემატიკა აგებულია პროფესიული განათლების მიმართულებით საქართველოში ბოლო პერიოდში არსებულ ლიტერატურასა, სახელმძღვანელოებსა და თარგმნილ მასალებზე დაყრდნობით. გარდა საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში განთავსებული ელექტრონული რესურსებისა და ლიტერატურისა, სასწავლო კურსების სილაბუსებში უმთავრესად მითითებულია თარგმნილი ლიტერატურა. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, თარგმანი შესრულებულია გერმანიის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში, გარკვეული თემების მიხედვით, რაც ვიზუალურად იქნა დათვალიერებული პანელის მსვლელობისას. სასწავლო კურსების შინაარსი მოიცავს ევროპული პროფესიული განათლების მიღწევებს და ორიენტირებულია და მოწინავე გამოცდილების გაზიარებაზე. სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის დიდი ნაწილი ინგლისურენოვანი ლიტერატურაა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები კი ითვალისწინებს B1 დონის ინგლისურს, რაც შესაძლოა არ აღმოჩნდეს საკმარისი სავალდებულო ლიტერატურის გასაცნობად და შესაბამისად შესასწავლად. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ახალი პროგრამის საჭიროებიდან გამომდინარე, მისი განხორციელება მხარდაჭერილია ახალი, ინოვაციური და მრავალფეროვანი ლიტერატურით, თუმცა, სასწავლო კურსში „ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა პროფესიულ განათლებაში“ სავალდებულო ლიტერატურის ველში მითითებულია მხოლოდ ერთი -„ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის“(განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი 2018 წ. ).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება ,,ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“;
2. საგანმანათლებლო პროგრამა (სწავლი შედეგების რუკა);
3. სასწავლო კურსების სილაბუსები;
4. ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;

| |
|---|
| რეკომენდაციები:<br><br>• სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალში არსებული ინგლისურენოვანი ლიტერატურის ეფექტურად გამოყენების მიზნით დაშვების წინაპირობად უნდა იყოს მითითებული B2.<br>• სასწავლო კურსების მიზნების და პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ერთიანობით უნდა იქნას მიღწეული კვალიფიკაცია; პროგრამის მიზნები უნდა დაიხვეწოს და ამოღებული იქნას ისეთი სწავლის შედეგები, რომლებიც არ უკავშირდერბა სწავლება-სწავლის და სხვებისთვის ცოდნის გადაცემის თეორიასა და ტექნიკებს;<br>• სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები „ფინანსები პროფესიულ განათლებაში“ და „ორგანიზაციული ქცევა და ადამიანური რესურსების განვითარება“ თავისი შინაარსითა და მიზნებით ვერ პასუხობს მისანიჭებელ კვალიფიკაციას და პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, ამიტომ უნდა იყოს ამოღებული სპეციალობის სავალდებულო კურსების ჩამონათვალიდან;<br>• მნიშვნელოვანია პროგრამის განხორციელება მხარდაჭერილი იყოს მრავალფეროვანი ლიტერატურით, თუმცა როგორც სავალდებულო ლიტერატურა სასწავლო კურსში „ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა პროფესიულ განათლებაში“ მითითებულია მხოლოდ ერთი სახელმძღვანელო-- „ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის“(განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი 2018 წ. )სასწავლო კურსის შინაარსიდან და შესასწავლი თემებიდან გამომდინარე, სტრატეგიული დაგეგმვის, ხარისხის სისტემების, გარე და შიდა ხარისხის მექანიზმების შესახებ არსებული სასწავლო ლიტერატურის, ან/და ჰენდაუტის დამატება მნიშვნელოვანია სასწავლო კურსის განხორციელებისთვის. |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის ფორმატი ითვალისწინებს კვლევით კომპონენტს 30 კრედიტის ფარგლებში, პროგრამის დასრულების ეტაპზე სტუდენტი ვალდებულია განახორციელოს სამაგისტრო კვლევა და შესაფასებლად წარადგინოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. სამაგისტრო ნაშრომის შესრულება სწავლების მეორე წლის ბოლოს არის სასწავლო გეგმით გათვალისიწნებული, მისი განხორციელებისთვის პროგრამაში წარმოდგენილია სილაბუსი. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობამ სტუდენტს უნდა ასწავლოს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების მოძიება, რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების გამოტანა, ჩამოუყალიბოს უახლესი მეთოდებისა და მიდგომების

გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების, საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით წარდგენის უნარი.

კვლევის მეთოდების შესწავლა კვლევითი ინტერესების ჩამოყალიბებაში ეხმარება სტუდენტებს.

სასწავლო პროგრამაში ასევე, სპეციალობის სავალდებულო კურსების სახით ისწავლება სასწავლო კურსები:

„შესავალი განათლების კვლევაში“ და „კვლევის მეთოდები განათლებაში“, რომლებიც ორიენტირებულია განათლების სფეროში კვლევის დაგეგმვის, ჩატარების, მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვების გააანალიზების, კვლევის ანგარიშის მოსამზადებლად საჭირო, კვლევის რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების, სტატისტიკური მონაცემების დამუშავების და ინტერპრეტირების საბაზისო უნარებისა და კომპეტენციების გამოუმუშავებაზე.

პროგრამა უზრუნველყოფს კვლევითი უნარების გამომუშავებას და კომპეტენციაზე დამყარებული კვლევის განხორციელებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამა (სწავლის შედეგების რუკა);
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- გასაუბრება კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ პერსონალთან, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებთან;
- აკადემიური პერსონალის დატვირთვა;

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი |
| --- |
